საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№85 (6311) სამშაბათი 17 ივლისი 1990 წელი ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპატაკებენ ჩხუტელელი მეაბრეშუმეები

ჩხუტელის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა — ნაყოფიერად იშრომეს აბრეშუმის პარკის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულების შესასრულებლად. გაცემული სიტყვის საქმედ ქცევისათვის ერთსულოვნად დაირაზმნენ მეაბრეშუმეები. ერთსულოვანმა გარჯამ, პირადმა და საერთო პასუხისმგებლობამ განაპირობა ის, რომ რაიონში პირველებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. 1890 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 1900 კილოგრამი პარკი.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მეაბრეშუმეებმა დოდო, ნუნუ, ნადია მეშველიანებმა, ყენია, ნანი, ნუნუ, ნარგიზა მურცხვალაძეებმა, ფოთოლა, ლენა კვირკაშვილებმა, თინა, მერი ახვლედიანებმა, სულიკო დაშნიანმა, დუშა მამარდაშვილმა, ზოია კეკუტიამ და სხვებმა.

აბრეშუმის პარკის დამზადებას კვლავ აგრძელებენ ჩხუტელელი მეაბრეშუმეები.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

1990 წლის 12 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ა. ი. লুკიანოვი. დელეგატებმა მოისმინეს ხმის დამთვლელი კომისიის ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილისა და სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების გამო ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

ხმის უმრავლესობით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილედ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად არჩეულია ვ. ა. ივაშკო, სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრად — ბ. კ. პუგო.

ყრილობამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმები.

შემდეგ ყრილობის მიერ წინათ საფუძვლად მიღებული სკკპ წესდების პროექტის შესწორებები და დამატებები გააანალიზა კომისიის ხელმძღვანელმა მ. ს. გორბაჩოვმა.

დელეგატებმა განაგრძეს დისკუსია პროექტის გამო. საფუძვლიანი და პრინციპული აზრთა გაზიარების შემდეგ განხილვა შეწყდა. დელეგატების მიერ წამოყენებული წინადადებანი გადაეცა კომისიას დასაბუთებულად.

სხდომის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა ყრილობის მონაწილეებს აცნობა 11 ივლისს გამართული მეშახტეთა გაფიცვის ამბავი. ყრილობამ ცნობად მიიღო ეს ინფორმაცია.

საღამოს სხდომის დასაწყისში ყრილობამ განიხილა და მიიღო რეზოლუცია „განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში სკკპ პოლიტიკის შესახებ“. შემდეგ სხდომა მიმდინარეობდა მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით.

ყრილობა შეუდგა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში კანდიდატურების დასახელებასა და განხილვას.

* * *

13 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

დილის სხდომის დაწყების წინ გაიმართა კენჭისყრა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების გამო.

პლენარული სხდომა გახსნა 11 საათზე მ. ს. გორბაჩოვმა. დელეგატები დაეთანხმნენ მის წინადადებას, რომ ყრილობის მუშაობა ერთი დღით გაგრძელდეს, ადრე დადგენილი ვადის გადამეტებით, რათა დამთავრდეს 13 ივლისს.

შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა ა. ი. লুკიანოვი.

დელეგატებმა დეტალურად განიხილეს კომისიის მიერ წარმოდგენილი სკკპ წესდების პროექტის შესწორებანი. დოკუმენტის ცალკეული მუხლების ფორმულირებათა საბოლოო დაზუსტების შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა მთლიანად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება.

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის დებულება.

სკკპ XXVIII ყრილობამ ცალკე დადგენილებით დაავალა ყველა დელეგატს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მისი იდეებისა და გადაწყვეტილებების პროპაგანდასა და კონკრეტულ განხორციელებაში.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „სკკპ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ“.

შესვენების შემდეგ სხდომას უძღვებოდა ს. ი. გურენკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყოველმხრივ, კონსტრუქციული განხილვის შედეგად ყრილობამ მიიღო რეზოლუციები „სკკპ ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ“, „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში კატასტროფის პოლიტიკური შეფასებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ“, დემოკრატიული ეროვნული პოლიტიკა ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის, მშვიდობისა და თანხმობის გზაა“.

ყრილობამ მოისმინა და ცნობად მიიღო კომისიის დასკვნები, რომლებმაც დაადასტურა, რომ საფუძვლიანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ნ. იაკოვლევის პროტესტი დელეგატთა ჯგუფთან მისი საუბრის დამახინჯებული ტელეპროგრამის არაოფიციალურ გავრცელებასთან დაკავშირებით.

საღამოს სხდომა მიმდინარეობდა ა. ი. লুკიანოვის თავმჯდომარეობით.

ყრილობის სამდივნოს წინადადებით დელეგატებმა მიიღეს დადგენილება „სკკპ XXVIII ყრილობაზე გამოგზავნილი მშრომელთა წერილების შესახებ“.

შემდეგ ყრილობაზე გამოვიდა სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ი. ა. მანაენკოვი. მან ყრილობას მოახსენა სამანდატო კომისიის გადაწყვეტილება ძალადაკარგულად ცნონ პარტიის XXVIII ყრილობის დელეგატის ბ. ნ. ელცინის უფლებამოსილებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან გასვლის შესახებ მის განცხადებასთან დაკავშირებით.

ყრილობამ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება.

მეცხოველეობა — დამკვრელური ფრონტი!

იალაღზეა პირუტყვი

ზაფხულია. მეცხოველეებს პროდუქტიულობის ზრდის ხელსაყრელი პერიოდი უდგათ, რასაც ნაყოფიერად იყენებენ ორბელის კოლმეურნეობის მეცხოველეები. 9 ფურს ადგილზე, სოფლის ფერმაში კვებავენ, მზრუნველობას არ აკლებენ გამოცდილი მწყემსი-მწველავები ცარო გვიშიანი და ბაცუ ბურჯალიანი. ჯერჯერობით 6 იწველება და ყოველდღიური წველადობა 48 კილოგრამს შეადგენს.

ხარიშის ჭალის მეცხოველეობის ფერმის მწყემსები მიუხედავად ძალზე ახალგაზრდული ასაკისა ბევრი რამ მოასწრო ლალი მეშველიანმა. ისუნდრელმა ქალიშვილმა სოფელ მახაშში დაიდო ბინა და ოჯახის ტვირთს არასდროს შეუშინებია. ჯერ იყო და ლასურიაშის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა, იქაც სანაქებოდ შრომობდა, მწველავთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრჯერ დაუმსახურებია ჩვენი გაზეთის პრიზი. კარგად უთავსებდა ერთმანეთს სამი შვილის გაზრდას, ოჯახის მოვლას, ახლა უკვე ლალი ოთხი შვილის დედაა. უმცროსი, ნანატრი ვაჟი რამდენიმე თვისაა და ისიც სახლშია. მაინც ვერ დაისვენა, აბრეშუმის მური გაიყვანა მოსავლელად, — 10 გრამზე მეტი იყო და იმდენად გამრავლდნენ, მთელი ბინა ამათ დავუთმეთო — გვითხრა. მთელი ოჯახი შეხმატკბილებულად შრომობს, აბა, ამდენ ჭიებს მარტო ლალი ვერ მოუვლიდა.

სურათზე: ლ. მეშველიანი საკვებს აწვდის ჭიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის შემდეგ

დამთავრდა სკკპ 28-ე ყრილობა, რომელმაც ერთგვარი იმპულსი მისცა სსრ კავშირის რესპუბლიკებს შემდგომი მოქმედებისა და მოძაელის განსაზღვრისათვის. ყრილობაზე, რომელსაც მთელი მსოფლიო ადევნებდა ინტერესით თვალს, საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ განაწილდება ძალები ქვეყნის პარტიულ და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, რა გზით წავა და წავა კი საერთოდ პარტიის თვისობრივი დემოკრატიული განახლება, როგორ მოწესრიგდება ეროვნული ურთიერთობანი, ეკონომიკური, სოციალური პრობლემები და ა. შ.

ახლა ჩვენთვის, ქართველებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკავშირო ყრილობიდან გამოტანილი დასკვნების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის მეორე ეტაპის წარმართვას, რომელზეც მიღებულ უნდა იქნას საქართველოს კომპარტიის უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დოკუმენტები. ამასთან წინაა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები. ამიტომ ჩვენს აწინდელ-დაწინდელ სწორ პოზიციას, პრაქტიკულ საქმეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ხორცი შეესხათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ხალხის ნებასა და მისწრაფებას.

ბევრი მიფიქრია ამ დაძაბულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ვითარებაში, ეკონომიკურ კრიზისში რა გადაგვარჩენს. ერთეულთა ინიციატივა, თავდადება, პატრიოტიზმი საქმეს ვერ უშველის. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ვერ ვიქნებით პოლიტიკოსები (ღმერთმა დაგვიფაროს), მაგრამ ყველა ჩვენ-ჩვენ საქმეს უნდა ვაკეთებდეთ.— მიმდინარე პროცესებში თუ ჩვენ ვერ გავერკვიეთ, ვერ განვსაზღვრეთ სიტუაცია და ხვალინდელი დღე, ისევ კონსერვატორული აზრებით გავაგრძელეთ ცხოვრება, არაფერი გამოგვივა.

დავიწყოთ ჩვენი სოფლის სინამდვილიდან. დადგა იმის აუცილებლობა,

რეალობას გავუსწოროთ თვალი

რომ სოფელში რადიკალური ცვლილებები მოხდეს. იგი უნდა გათავისუფლდეს ზემოდან მეურვეობისაგან, მიეცეს მეტი დამოუკიდებლობა. ჩვენს სოფელში, ისე, როგორც საერთოდ, არ დაიძრა საქმე წინ. არადა საბჭოც არის, კოლმეურნეობაც, პარტიული კომიტეტი, ყველა, მაგრამ პროცესები უმართავი ხდება. წელიწადია ლაპარაკია გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ. მაგრამ პრაქტიკულად ვერ გადავდგით ნაბიჯი. არადა რომელ დისციპლინაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აღარც გლეხური მეურნეობაა, აღარც საკოლმეურნეო შრომა. ამ საქმეში, ბუნებრივია, ჩვენ თავს არ ვიმართლებთ, მაგრამ რაიონული საბჭოს სესიის მიერ გამოყოფილი კომისია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს პრაქტიკულ მუშაობას, შეხვდეს ადამიანებს და ადგილზე გადაწყვიტოს სოფლის ბედი მოსახლეობის სასარგებლოდ.

დღეს, როცა ბევრი რამ გადაფასდა, შეიცვალა ადამიანთა აზროვნება, პარტიული მუშაობის შინაარსი და ფორმები არსებითად უნდა შეიცვალოს. საქართველოს კომპარტიის პროგრამის პროექტში კი ბევრი პუნქტი ძირეული პარტიული ორგანიზაციისა და რიგითი კომუნისტის თვალსაწიერიდან, რეალური ვითარებიდან არაა დანახული. მე მიმაჩნია, რომ საუბნო და საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების, მით უფრო პარტიული ჯგუფების არსებობა დღევანდელ ეტაპზე კიდევ უფრო დასცემს პარტიისა და პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტს. ამიტომ ვეთანხმები რეგიონალური პარტიული ორგანიზაციების შექმნას, კორდინირებულ მუშაობას, ამაზე სხვების აზრიც ასეთია.

ერთი ჩემი მოსაზრებაც უნდა გამოვთქვა. შეიძლება ეს, როგორც პარტიული ფუნქციონერისაგან, ბევრს გაუკვირდეს. მაგრამ საჭიროა სიმართლეს თვალი გავუსწოროთ.

ბევრ შრომით კოლექტივში აუცილებელია დეპოლიტიზაცია, აქედან გამომდინარე პარტიული ორგანიზაცია აქ დანამატია, არაფრის გამკეთებელი. ასეთს კი სჯობს არ იყოს საერთოდ. ეს უნდა გადაწყვიტოს შრომითმა კოლექტივმა.

დაბოლოს, საქართველოს კომპარტიაზე ჩემი მოსაზრება: იგი უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, უნდა დათმოს ერთმმართველობის ტენდენციები. ყველაფერი აკეთოს ერის ბედის გადაწყვეტისათვის.

ი. ნემსწვერიძე,
ორბელის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

კარგი - სიტყვა კარგ ადამიანებზე

თუ საჭიროა, საკუთარ სულსაც ...

მშვენიერია სოფელი ქულბაქი, მწვანეში ჩაფლული, ირგვლივ ამოხეთქილი მთებიდან ნიავის ნაზი ამბორი მოდის, ზაფხულის ხვატი ნიგვზის ჩეროსკენ გიხმობს. შედიხარ სოფლის სიღრმეში და მდუმარება გეუფლება, დიდი ლოდები მისტირიან წარსულს გოდებით, ჩამყუდრეებულა სოფელი, მონატრებია ორღობეებში ნორჩების სიმრავლე, გამოკეტილია ძველისძველი კლუბი და ბიბლიოთეკა. მხოლოდ ერთი ეზოს ჭიშკარი შევნიშნეთ ღია. დიდი ეზოა, საქამრემდე შემოსული ბალახით, დაღლილის რხევით ირწევიან ნიგვზის რტოები. ეზოს სიღრმეში ერთი პაწია ხის შენობაა, ფართოდ გაღებული კარით. აქ სოფლის საფერშლო საბებირ პუნქტია.

შესაშური წესრიგი და სისუფთავე მოგვხვდა თვალში. მისი გულღია მასპინძელია პუნქტის გამგე მალიმა გასვიანი. მკითხველი მას იცნობს, ბევრჯერაც შეგვიქია გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ საკუთარი თვალით ნახულისა და განცდილის ხმამაღლა ართქმაც გულგრილობა იქნებოდა ჩვენის მხრივ.

საოცრად ბეჯითი ქალია მალიმა, ფანატიკურად ერთგული პროფესიის. პუნქტში ცალკეა გამოყოფილი შოკსაწინააღმდეგო, პირველი დახმარების, ორსულის კუთხეები. სიხარულით გვიყვება თავის საქმეზე, სოფლის სატკივარზე, რომელსაც იმედად უდგას. ვისაც რა გაუჭირდება, მალიმაა ექთანიც და ექიმიც, ნუგეშის მცემელი.

ერთიორად რთულია ასეთ სოფელში მუშაობა. აქ გარეგნი იქდენ [illegible] ადამიანს, [illegible] და გაუხარელს, [illegible] ნებისმიერ კომფორტულ საავადმყოფოში შეიძლება ვერ მიიღო. სოფლიდან წარამარა სხვაგან წასვლა უჭირთ. მალიმა კი აქვეა, ცოდნა და გამოცდილება აქვს, გამართული პუნქტი, წამლებიც. მე შენ გეტყვი და ადგილზე არ დაგიხვდება.

პუნქტში სანიტრად მუშაობს ეთერ ლიპარტელიანი, 4 შვილის დედა, საუკეთესო ქალი, შეხმატკბილებულად მუშაობენ, ისეთი რა დატვირთვა აქვს სანიტარს, მაგრამ ისიც დილიდან საღამომდე, როგორც წესი, პუნქტშია, ერთი აქვთ ჭირი და ლხინი.

ერთხელ, ყვებიან ქულბაქელები, ავადმყოფი ცუდად გამხდარა, შოკის მდგომარეობაში ჩავარდნილა. გადმოყვანა არც შეიძლებოდა, დროც არ ითმენდა. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო და მალიმამ ყველა ღონე იხმარა, რა ნემსი, მასაჟი, არ იქნა და პულსი ვერ დაუბრუნა ავადმყოფს. ბოლოს საკუთარი სული ჩაბერა მომაკვდავს, ეს გრძელდებოდა კარგა ხანს, ვიდრე მდგომარეობიდან არ გამოიყვანა.

სოფელში სულ 50 კომლია, მაგრამ გამრავლების შანსი ჩანს. ერთი ბავშვის გაჩენა მალიმასათვის ერთი ახალი სიცოცხლეა, ახალი სიხარული. იმ დღეს ამაღლებული ჩაათავებს ჩქუმამდე ქვა-ღორღიან გზას, მეორე დღეს ისევ დილა უთენია პუნქტშია ქულბაქელთა მეჭირისუფლე და ქომაგი.

მ. ძნელაძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ვალები ჩამოაწერეს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს ჩამოწერილ საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებებით გადავადებული დავალიანება სსრ კავშირის ბანკების სესხების გამო 40,3 მილიარდი მანეთის ოდენობით.

გადაწყვეტილება დავალიანების ჩამოწერის შესახებ მიღებულია ეკონომიკის გაჯანსაღებისა და მეურნეობრიობის ახალი ფორმების, რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოების მუშაობისათვის ხელშემწყობი წანამძღვრების შექმნის მიზნით.

მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის ბანკებს მიიღონ ზომები, რათა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისათვის მიცემული საკრედიტო რესურსები, და უზრუნველყონ მათი დროული დაბრუნება.

ჟურნალისტის ფიქრები

მეცამეტე რედაქტორის

ოდესღაც, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში, აქ დროებით ცხოვრობდა მდიდარი, გლეხი აკულინევი, საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა დაწესებულებები იყო. 1967 წელს კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ სახლით „ვაბედნიერა“ გაზეთის რედაქცია.

ექვერდით ასეთივე ძველი შენობა იდგა, სადაც აკულინევის ბუუებს ტყავი გამოპაკვადთ, სწორედ ეს შენობა მისცეს ტიპოგრაფიას. მისი იატაკი ყოველწლიურად 10 სანტიმეტრით ჯდებოდა, მაგრამ რატომღაც არ ინერეოდა.

ამ რედაქციაში 1977 წელს ნოვედი. ეოფილი რედაქტორი მოადგილედ გადავიდა. მოსწყინდა ზამთრის მარაგისათვის შეშის დამზადება დეკემბერში (მანამდე რიგი არ უწევდა), საკოლმეურნეო კარტოფილის, თივის დამზადების გეგმების შესრულება, საოლქო ხელმძღვანელობის სტუმრობის წინ გზისპირებზე ბალახის მოთიბვის შესახებ ბრძანებების მოსმენა, შენობის შელამაზება...

გავიდა 13 წელი. ახლა სხვა შენობაში ვართ—„ახალში“. ეს ყოფილი სამაზრო გამგეობის შენობაა. სხვათაშორის, ჩემს კაბინეტში საპატიმრო იყო. თითოეულ კაბინეტში სამი მუშაკი ზის. გვერდით კი ნამდვილად ახალი შენობებია აღმართული, ქათქათა, მინისა და ბეტონისაგან აგებული—რაიაღმასკომის. იქვეა პარტიის რაიკომის, აგრომრეწვბანკის განყოფილების შენობები. მოედანს კეტავს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ორსართულიანი შენობა, იყო რასგ, გახდა ასგ. მოაცილეს ერთი ასო და შეამცირეს ერთი კაცი. 26 კი დარჩა.

მაგრამ ახლა ჩვენთვის ცხოვრება მაინც ასატანია. მთავარია, რომ სითბო გვაქვს. თუმცა გათბობა ნერვებად ღაგვიჯდა. მერე შენობა დავხურეთ, საოპერატორო მოვაწყვეთ.

ასე ვცხოვრობთ, ვწვალობთ, ვჯახირობთ. ბოლო წლებში მესამედით გავზარდეთ ტირაჟი—საშუალოდ 100 კაცზე გაზეთის 26 ეგზემპლარი მოდის. რეკლამისა და განცხადებებისაგან შემოსავალი 3-ჯერ გავზარდეთ, ზევიდან კი გვირეკავენ—მეტი იმუშავე რეკლამაზე!

სად ვნახოთ რეკლამის მსურველნი? რაიკავშირი ხომ არ დაიწყებს „იმპორტის“ რეკლამირებას—თავის მუშაკებს და უფროსობას არ ყოფნის. როცა რაიონში ყოველი ადამიანი აღრიცხვაზეა, საიდან უნდა გაჩნდეს განცხადებები სამუშაო ძალის დაქირავების შესახებ? ასე, რომ 12 ათასიანი მოსახლეობით გეგმურად ზარალიან გაზეთს რენტაბელურად ვერ აქცევ. მაგრამ ზარალს ვამცირებთ.

შეიძლება კოლეგებმა მკითხონ: რა არის ეს, ხან სახურავი, ხან საოპერატორო, შემოქმედებით საქმეებზე როდისღა ზრუნავთო?

იყო (და ალბათ, არის) შემოქმედებითი წარმატებებიც. 10 დიპლომი და სიგელი მივიღეთ ამ წლებში. ოლქში უკეთესი გაზეთებიც არის და უარესიც. ხან დაგტუქსავენ, ხან შეგაქებენ. ასეც ხდება.

ამ პერიოდში რაიკომის 4 პირველი მდივანი გამოვიცვალეთ, ერთი მათგანი საერთოდ არ ერეოდა საგაზეთო პრაქტიკაში. მეორეს კი შეეძლო უკვე დაბეჭდილი სტატია ამოეღო, თუ შეეწინააღმდეგებოდი, გიპასუხებდა:

—იცოდე, რომ რედაქტორი მხოლოდ ტექნიკური მუშაკია. და გაიფიქრებდა რა, რომ რედაქტორის შედარება მბეჭავ მემანქანესთან უკვე მეტისმეტი იყო, დაამატებდა:

კულტურის სფერო

დრო მეტ და მეტ მოთხოვნებს უყენებს კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორც მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო კერებს, - მშრომელთა დამრაზმველს სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

შინაარსიანი დასვენების სრულყოფისათვის

კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად მუშაობის გარდაქმნის საქმეში წინა წლებში არსებითი ნაკლოვანებები გააჩნდა ლაჯანის კულტურის სახლს, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შენობის, მისი სცენის, დარბაზისა და 5 სამუშაო ოთახის კაპიტალური რემონტის გაჭიანურებით, რის შესახებ სამართლიანად ვწერდით რაიონულ გაზეთში, რაც გაითვალისწინა კულტურის განყოფილებამ, ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, სარემონტო სამშენებლო უბანმა და დაჩქარდა კაპიტალური რემონტი, ამაღლდა რემონტის ხარისხიც.

კულტურის განყოფილებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კულტურის სახლის მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის. განყოფილებისა და სარაიონო კულტურის სახლის მუშაკები, მეთოდისტები მეტ დახმარებას უწევენ კულტურის სახლის მუშაკებს, რის შედეგად მუშაობა ერთგვარად გაუმჯობესდა და კულტურის სახლი თანდათან დგება მშრომელთა აქტიურ სამსახურში.

კულტურის სახლის ხელმძღვანელობამ (დირექტორი მარიკა ონიანი, სამხატვრო ხელმძღვანელი მზია ბურჯალიანი) გადაახალისა საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობა, შემოიკრიბა აქტივი და მოფიქრებულად, ადგილობრივი საშუალებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შედგენილი წლიური პერსპექტიული და კვარტალური სამუშაო გეგმების საფუძველზე აწარმოებენ მუშაობას. მთელ კულტურულ-მასობრივ მუშაობას წარმართავენ საზოგადოებრივ საბჭოსა და აქტივზე დაყრდნობით.

კულტურის სახლის ძალებით ხშირად ტარდება კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, ლექცია-საუბრები, წარმოდგენები, კონცერტები, შეხვედრები შრომისა და ომის ვეტერანებთან, მოწინავეებთან, მრავალშვილიან დედებთან. მოწყობილ მასობრივ-კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ პედაგოგები, ინტელიგენცია, სოფლის ახალგაზრდები. მშრომელთა იდეური აღზრდისათვის კარგად იყენებენ რადიოს, კინოს, ტელევიზორს, მარშალ ა. გელოვანის სახლ-მუზეუმს, სამხედრო პატრიოტული აღზრდის ცენტრს და სხვა.

შექმნილია და დამაკმაყოფილებლად მუშაობს დრამატული, აგიტმხატვრული, მხატვრული კითხვის, ჭრა-კერვისა და ფრენბურთის წრეები.

დრამატულმა წრემ (ხელმძღვანელი მზია ბურჯალიანი) გასულ წელს მოამზადა და კულტურის სახლში მაყურებელს უჩვენა არეშიძის პიესა „ნახვამდის". წელს მოამზადეს და კულტურის სახლში მაყურებელს უჩვენეს ა. ღევიძის პიესა „ცოლი ხუთი წუთით". ასევე აგიტმხატვრული ბრიგადის მიერ (ხელმძღვანელი მარიკა ონიანი) კულტურის სახლში, სოფლებში ლაცორიაში, უსახელოში ხშირად ტარდება კონცერტები.

კულტურის სახლის შენობა, მისი სცენა, დარბაზი და 5 სამუშაო ოთახი აკმაყოფილებს სასოფლო კულტურის სახლის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისათვის საჭირო პირობებს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მდგომარეობა, რომ არ მოგვარდა ელექტროგაყვანილობის საქმე. 1988 წლის მარტში დაწყებული კაპიტალური რემონტის დროს დარბაზში, სამუშაო ოთახებში მოშალეს ელექტროგაყვანილობის ხაზები, რომელიც დღესაც არ არის აღდგენილი. სცენაზე ძველისძველი გაყვანილობაა, დარბაზშიც პრიმიტულადაა მოწყობილი ელექტროგანათება, რაც ხანძრის საშიშროებას ქმნის. საჭიროა კულტურის განყოფილებამ, ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, კულტურის სახლის დირექციამ იზრუნოს ელექტროქსელის სასწრაფოდ მოწყობისათვის.

ყველასათვის ცნობილია, რომ კულტურის სახლი წარმოადგენს თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებისა და გართობის მძლავრ კერას. ამიტომ ის უნდა მუშაობდეს ისეთ დროს, როცა მუშა-მოსამსახურეები, სოფლის მშრომელნი თავისუფალი არიან სამუშაოსაგან. აქ კი პირიქითაა, მუშაობას იწყებენ 10 საათზე და ამთავრებენ 18 საათზე. ისვენებენ კვირას და თუ კინო-სეანსი არ ტარდება, კულტურის სახლი კვირაობით და ყოველდღიურად 18 საათის შემდეგ დაკეტილია, რაზედაც უკმაყოფილებას გამოთქვამს ახალგაზრდობა, სოფლის მშრომელები. ამის მოგვარება პრობლემა არ არის და დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს.

მუშაობის გარდაქმნისათვის ზრუნვა, უკეთესობისაკენ პირველი ნაბიჯები იგრძნობა, მაგრამ კულტურის სახლს გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანება. ყველა წრის მუშაობა ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, რასაც დღევანდელობა მოითხოვს. ნელა ინერგება მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები.

არის ყველა პირობა იმისა, რომ ლაჯანის სასოფლო კულტურის სახლის მუშაკები მთელ ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ კულტურის სახლის მუშაობის გარდაქმნას, გამოიყენებენ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, კულტურის სახლს გადააქცევენ მშრომელთა ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი, ფიზიკური აღზრდის, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების მძლავრ კერად.

ვლ. დავითულიანი.

ღია წერილი პურპროდუქტების კომბინატის დირექტორს

მერაბ გოგიძეს

რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმის" მიმდინარე წლის 7 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „რატომ აგვიგდეს აბუჩად", რომელშიც მხილებული იყო, რომ 5 ივლისს ქალაქის ცენტრალურ გამოკეტილ პურის სარეალიზაციო მაღაზიაში შესვენების საათებში არ იყო პური და მუშა-მოსამსახურეები დარჩნენ უსადილოდ.

რედაქციამ კრიტიკული წერილი მომართვასთან ერთად გადმოგიგზავნათ რეაგირებისათვის.

გვწამდა, გულთან მიიტანდით აღნიშნულ საკითხს, შეისწავლიდით მდგომარეობას, გაატარებდით საჭირო ღონისძიებებს და შედეგებს აცნობებდით, როგორც წესი, რედაქციას.

მაგრამ ყველას გასაოცრად თქვენ და თქვენდამი დაქვემდებარებული კომბინატის მუშაკები კვლავ აგრძელებთ მშრომელთა აბუჩად აგდებას. 13 ივლისს, სხვა დღეებსა და პურის ხარისხზე რომ არაფერი ვთქვათ, შესვენების საათებში კვლავ არ იყო პური.

ამასთან რედაქციიდან გამოგზავნილ მომართვას და წერილს უპასუხისმგებლოდ დააწერეთ „ჩვენ არ გვეხება" და უკან გამოგზავნეთ რედაქციაში.

საინტერესოა, რა გეხებათ პურის ცხობის და მშრომელთა გამომცხვარი პურით მომარაგების გარდა? ეს მაინც დაგეწერათ და გამოგეგზავნათ.

თუმცა, იტალიაში მოგზაურობიდან ახალ დაბრუნებული ჯერ კვლავ მოგზაურობის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებით და სად გცალიათ მომხმარებელთა პურით მომარაგებისათვის.

იქნებ იტალიური შთაბეჭდილებები მაინც მოგვაწოდოთ?

რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქცია.

„ოზირისი" —გლეხურ მეურნეობათა კავშირი

ჩელიაბინსკის ოლქი. გასული წლის ნოემბერში კრასნოარმეისკის რაიონის აღმასკომის გადაწყვეტილებით სუგოიარსკის საბჭოთა მეურნეობის საერთო ფართობის ნაწილი (444,8 ჰექტარი) გადაეცა გორდიევების ოჯახს ფერმერული მეურნეობისათვის. მათ შექმნეს გლეხურ მეურნეობათა კავშირი „ოზირისი".

ფერმერებმა მიიღეს 50 ათასი მანეთი გრძელვადიანი და 20 ათასი მოკლევადიანი სესხი. შეიძინეს ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. დათესეს სხვადასხვა კულტურა.

სურათზე: ფერმერები ჯერჯერობით ყოფილი საბჭოთა მეურნეობის კანტორის შენობაში ცხოვრობენ ოჯახებით. მალე ისინი სახლს ააშენებენ.

ტვირთი

—რა თქმა უნდა, შემოქმედებითიც.

ბევრი ასეთის გახსენება შეიძლება 13 წლიანი ჟურნალისტური პრაქტიკიდან. მათ შორის, იმისაც, როგორ გვემუქრებოდნენ საოლქო კომიტეტის მუშაკები, ხელებს მოგჭრითო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რედაქციამ გაბედა გამოექვეყნებინა წერილი რაიონში გამეფებულ სოციალურ უსამართლობაზე. მართალია, მერე რაიკომის ბიუროს სხდომაც შედგა ორჯერ, ზოგიერთი ხელმძღვანელიც დაისაჯა. იმ დროს ბიუროს სხდომები დახურული იყო და გაზეთსაც არავითარი ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია მათ შესახებ.

ახლა უფრო გათამამდა გაზეთი, მეტი საჯაროობაა, უფრო ქმედითი გახდა ჩვენი პუბლიკაციები, მართალია, არა შვიდმილიანი ნაბიჯებით, მაგრამ გარდაქმნა ჩვენთანაც მიდის.

მასთან ერთად დროც მიდის. ვაჟმა დაამთავრა საშუალო სკოლა, სამხედრო სამსახური, მიიღო უმაღლესი განათლების დიპლომი, რამდენიმე წელი წარმოებაში მუშაობდა. ახლა რაიკომის ინსტრუქტორია, ჩემზე ერთნახევარჯერ მეტს იღებს.

ჩემი შრომითი გზა დავიწყე რაიონული სახალხო სასამართლოს აღმასრულებლად 70 მანეთი ხელფასით. ეს იყო 50-იანი წლების ბოლოს. მეცნიერ-ეკონომისტები ამბობენ, რომ ახლანდელი ფული 3-ჯერ იაფია. ასე რომ არსებითად დღეს იგივე ხელფასს ვიღებ.

მეცოდებიან რაიონული გაზეთების მუშაკები, კარგი ჟურნალისტები რედაქციიდან პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ სამუშაოებზე მიდიან. ხშირად ვკითხულობ ცენტრალურ გაზეთებში ტრაფარეტულ სათაურებს: „ავამაღლოთ პრესის პასუხისმგებლობა". ამაღლება ნამდვილად საჭიროა პრესის მუშაკთა მატერიალური მდგომარეობისა, განსაკუთრებით დაბალი რგოლის. ჟურნალისტები, რაც უნდა საოცარი იყოს, მოსამსახურეთა ერთადერთი კატეგორიაა, რომელთა ანაზღაურება შვებულებაში ან სავალდებულო ფურცელზე გასვლისას თვეში 220 მანეთითაა შემოსაზღვრული.

სულ უფრო ხშირად ხარედაქციო კოლექტივებს სათავეში არა ჟურნალისტები, არამედ პარტიული, ხანდახან სამეურნეო მუშაკებიც კი უდგებიან. ნარკვევის ან ფელეტონის დაწერა არ შეუძლიათ, მანქანისათვის ხიდს კი იშოვნიან, წერის გარდა ყველაფერი ხელეწიფებათ.

კაცმა რომ თქვას, ვინ უნდა განახორციელოს საერთო ხელმძღვანელობა? სკკპ რაიონულმა კომიტეტმა და სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ, არა აპარატის მუშაკებმა, არამედ კონფერენციაზე არჩეულმა რაიკომის წევრებმა და რაიონული საბჭოს დეპუტატებმა. ცხოვრებაში კი გაზეთს აპარატის მუშაკებთან ერთად ხელმძღვანელობენ პარტიის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილება და პრესის სექტორი, რაც არასწორია.

პარტიული დოკუმენტები გაზეთისათვის პასუხისმგებლობას პარტიული კომიტეტის მდივანს და მის ბიუროს აკისრებენ. ფინანსურად და მატერიალურად მთლიანად საოლქო პოლიგრაფგამომცემლობაზე, საფინანსო განყოფილებაზე და აგრომრეწვბანკზე ვართ დამოკიდებული. ბევრი რამით ჩვენი ცხოვრება ტიპოგრაფიაზეა დამოკიდებული. ხელმძღვანელები და მოვალეობები ბევრია, უფლებები კი? ვფიქრობთ, საჭიროა არსებობდეს ზუსტი დებულება რაიონული გაზეთების შესახებ.

ოლეგ ვოლგინი,

რაიონულ გაზეთ „ზნამია ოქტიაბრიას" რედაქტორი.

სარატოვის ოლქი.

ჟურნალი „ჟურნალისტი".

შიდსი: კაცობრიობის ნომერ პირველი პრობლემა

სულ რაღაც 10 წლის წინ კაცობრიობა დარწმუნებული იყო, რომ მან საბოლოოდ გაიმარჯვა ინფექციურ დაავადებებზე და რომ ისინი აღარ უქმნიან საფრთხეს ადამიანებს. ადამიანს დაავიწყდა, რომ იგი ბუნების განუყოფელი ნაწილია და არა მისი მეუფე და შედეგმაც არ დააყოვნა.

1980 წელს დაიმსხვრა ჩვენი თავდაჯერებულობა, გამოჩნდა ახალი, იდუმალებით მოსილი დაავადება—შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი). 1982 წლიდან 1984 წლამდე გამოიყო დაავადების გამომწვევი ვირუსი, დაზუსტდა დაავადების კლინიკური სურათი, მისი ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის გზები, დიაგნოსტიკური მეთოდები და სხვა.

დაავადებას იწვევს ე. წ. რეტროვირუსების ჯგუფის ვირუსი. ისმის კითხვა, საიდან მოდის ეს ვირუსი, არსებობდა ადრე თუ არა? ჯერჯერობით ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეული არ არის, თუმცა არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა. ზოგი ამ ვირუსის ჩამოყალიბებაში ბრალს გენურ ინჟინერიას დებს.

შიდსის პანდემია, რომელიც 1981 წელს დაიწყო, აშიშვლებს კაცობრიობის ზნეობრივ მანკიერებას (სექსუალური აღვირახსნილობა, ნარკომანია), წარმოაჩენს ადამიანთა სოციალურ მოუწყობლობას.

ამჟამად მსოფლიოში რეგისტრირებულია დაავადების 250 ათასი შემთხვევა, დაინფიცირებულია 5-დან 10 მილიონამდე ადამიანი. პროგნოზებით უახლოეს ხუთ წელიწადში დასნეულდება მინიმუმ კიდევ ერთი მილიონი კაცი. ვარაუდობენ, რომ ორი ათასი წლისათვის საბჭოთა კავშირში 55 ათასი ვირუსმატარებელი იქნება.

ფილადელფიის (პენსილვანიის შტატი) სამედიცინო ინსტიტუტში გამოსვლისას მაშინდელმა პრეზიდენტმა რეიგანმა თქვა: სასიკვდილო და ჯერ-ჯერობით უკურნებელი სენი „შიდსი ერის ჯანმრთელობის ნომერ პირველ მტრად გამოცხადდა“. შიდსი დღესაც უკურნებელი სენია.

შიდსის ვირუსი დაბრკოლების გარეშე მოგზაურობს მსოფლიოში. მისთვის არ არსებობს საზღვრები, ეროვნული კუთვნილება თუ სოციალური წარმოშობა. ჩვენი სამშობლო არ არის იზოლირებული გარე სამყაროსაგან. შიდსის ვირუსით გამოწვეული დაავადებით ჩვენი თანამემამულის გარდაცვალებამ თვალნათლივ დაადასტურა საშიშროების წინაშე ჩვენი ფსიქოლოგიური მოუმზადებლობაცა და გულარხეინობის უსაფუძვლობაც.

კაცობრიობა დადგა არნახულად რთულ პრობლემათა წინაშე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევით.

უმკაცრესი კრიზისის პირობებში, როცა სამთავრობო ორგანიზაციებსა და მთლიანად სახელმწიფოს არ ძალუძს შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის სათანადო დონეზე წარმართვა, საზოგადოებრიობის ვალია შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეიტანოს საქმეში, რომელიც კაცობრიობის ნომერ პირველი პრობლემის ხასიათს იღებს. ასეთ პირობებში, როცა მთელი კაცობრიობა დგას ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე, მცირერიცხოვან ერებს უკიდურესი მობილიზება გვმართებს.

პანიკა ვერ გვიხსნის. ხსნა ზნეობრივ განწმენდაშია. საბედნიეროდ, დადგენილია შიდსის გადაცემის გზები: სქესობრივი კავშირი, ვირუსის გადაცემა დედიდან შვილზე მუცლადყოფნის დროს, სამედიცინო მანიპულაციები (მედიკოსებმა აღმოაჩინეს ვირუსის კვალი ნერწყვში და ცრემლში, მაგრამ მათში ვირუსის იმდენად მცირე რაოდენობაა, რომ ეს ბიოლოგიური სითხეები არ ქმნიან ინფიცირების საშიშროებას). თითოეულ ადამიანს თვითონ შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს დასნეულების რისკი.

ორი ათასი წლისათვის პროგნოზების მიხედვით, შიდსით რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი დაიღუპება. საქართველომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი უნდა გაიღოს. ჩვენ ისედაც ცოტანი ვართ.

ზემოთაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნა.

საზოგადოება მიზნად ისახავს:

—შეაჩეროს შიდსის ეპიდემია საქართველოში;

—საზოგადოების ფართო ფენებში შიშსა და სასოწარკვეთას დაუპირისპიროს ფართო საინფორმაციო, პროპაგანდისტული და სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა;

—იზრუნოს ახალგაზრდობის სწორი სექსუალური ქცევისა და ორიენტაციის ფორმირებისათვის, შეასრულოს დამაკავშირებელი ხიდის როლი საზოგადოებასა და რისკის ჯგუფის წარმომადგენლებს შორის;

—დაიცვას ვირუსმატარებლები და სნეულები ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან, უზრუნველყოს ისინი სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურებით, იბრძოლოს მათი საზოგადოებიდან ძალდატანებითი იზოლაციის წინააღმდეგ;

—თავისი წვლილი შეიტანოს შიდსის ვაქცინის კვლევის დაფინანსებასა და მოსახლეობის ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტებით უზრუნველყოფაში.

შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს ნარკოტიკების გამავრცელებლებს, ამასთან იზრუნოს ნარკოლოგიური სამსახურის ჰუმანიზაციისათვის.

ზემოთჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოება თავის რიგებში აერთიანებს მოსახლეობის ფართო ფენებს. ამჟამად საზოგადოებაში ირიცხება 22. 000 მოქალაქე. მისი (ამ საზოგადოების) წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მსურველი 14 წლის ასაკიდან, რომელიც ეთანხმება საზოგადოების დებულებას და მონაწილეობს მის მუშაობაში.

მსურველებს შეუძლიათ გაერთიანდნენ საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობით საზოგადოებაში, სათანადო საწევროს შეტანის შემდეგ. გაწევრება უნდა 1 მანეთი, ხოლო ყოველწლიური საწევრო შესატანია 3 მანეთი, რაიონის წარმოება-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საშიში დაავადების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში და ნებაყოფლობით საზოგადოებას გადაუხადონ გარკვეული თანხა.

საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების ანგარიშია №000700482, ქალაქი თბილისი, ოქტომბრის რაიონის საბინაო კომუნალური მეურნეობის ბანკი.

მ. ახვლედიანი,

საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ა. ხეცურიანი,

საზოგადოების წევრი.

მილოცავთ

ნაირა გივის ასულ ჩახხიანს
მირზა ვაჟას ძე თვარაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. მრავალი შვილი შემატებოდეს თქვენს ოჯახს.

თალიკო, ჯუმბერ ქარსელაძეები.

ნორა სამსონის ასულ სალინაძეს
ჯუმბერ გიორგის ძე ბენდელიანს

ბებო და ბაბუ, გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ნამდვილი ქართველი ქალი.

ნინო და ზურაბ ჩაკვეტაძეები.

ნინა დიმიტრის ასულ ჩარკვიან-ჭაბუკიანს

გილოცავთ შვილის რანი (ხუხა) რაფიელის ძე ჭაბუკიანის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის დაცვას. კვლავ წარმატებებით ევლოს.

დიომიდე, ანზორ ჭაბუკიანები ოჯახებით.

აზა, ელგუჯა ბანძელაძეებს,
მედიკო ნემსწვერიძეს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ვაჟიშვილი.

ტვიშის საექიმო ამბულატორიისა და აფთიაქის თანამშრომლები.

ირა, თენგიზ ასათიანებს
ნინო, კახა ასათიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. კიდევ მრავალი შეგძინოთ ღმერთმა.

ტვიშის საექიმო ამბულატორიისა და აფთიაქის თანამშრომლები.

მიშა ბერიძე, ვალერი ჯიაძე, მურთაზ ჭელიძე, არჩილ, ნორა ჩაკვეტაძეები, რუსუდან ახვლედიანი, ვალიკო გაგელიძე, სერიოჟა ღურჭუმალიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ დადაში გუგავას მეუღლისა და სიძის

ანგელინა ტვილდიანისა და აკაკი ზურაბიანის

გარდაცვალების გამო.

რაიკოოპერატივის, საზკვების გაერთიანების, პურკომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ აზა, მურთაზ ღურჭუმალიძეებს ბიძაშვილის

აკაკი (ბაკა) ბუჭუს ძე ზურაბიანის

გარდაცვალების გამო.

საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა, ბორის სილაგაძეებს სიძისა და ქვისლის

აკაკი (ბაკა) ზურაბიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კავშირგაბმულობისა და საქალაქთაშორისო გამაძლიერებელი პუნქტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სერიოჟა ღურჭუმალიძეს სიძის

დიდიმი კაპანაძის

გარდაცვალების გამო.

ქორა სილაგაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ანგელინა ტვილდიანი

უახლოესი მეზობლები მურმან, ავთო გუგავები, სოსო კოპალიანი, ვახტანგ სვანიძე, ბორის ჭაბუკიანი, ნიურა ქომეთიანი, გენურ, ნოდარ ახვლედიანები, ზაურ, სულიკო ყურაშვილები, ოთარ ჩიქოვანი, შოთა, ვალერი, კახა ჩხეტიანები, ენგელი, იაშა ფრუიძეები, ბექან ტვილდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ დადაში გუგავას მეუღლისა და სიძის

ანგელინა ტვილდიანისა და აკაკი (ბაკა) ზურაბიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბუჭუ, მზია ზურაბიანებს შვილისა და მაზლის

აკაკი (ბაკა) ზურაბიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3/ განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-86, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66480, შეკვეთა 27 ტირაჟი 4800

საქართველოს სსრ მეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.